„ბაკურიანის სარეკრეციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის №591 დადგენილებით დამტკიცებული ბაკურიანის სარეკრეციო ტერიტორიის გენერალური გეგმით განსაზღვრულ N12 ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2020 წლის 5 მარტის N31/ო ბრძანებისა და 2020 წლის 19 მარტის N1/20 ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე მიმდინარეობს „ბაკურიანის სარეკრეციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის №591 დადგენილებით დამტკიცებული ბაკურიანის სარეკრეციო ტერიტორიის გენერალური გეგმით განსაზღვრულ N12 ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის განხილვა.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ბორჯომის მუნიციპალიტეტში ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე და შედგება ორი საკადასტრო ერთეულისგან (ს/კ: N64.30.01.188, N64.30.01.189), რომელთა ჯამური ფართობია 339.250 კვ.მ.

განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია ითვალისწინებს საპროექტო ტერიტორიის საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის №591 დადგენილებით დამტკიცებული „ბაკურიანის ტერიტორიაზე განაშენიანების/განაშენიანების დეტალური გეგმების დამუშავების პირობების (დანართი 5)” შესაბამისად განვითარებას, რაც გულისხმობს მრავალფუნქციური კომპლექსის მოწყობას (სასტუმრო, აპარტოტელი, კოტეჯები, სპორტული მოედნები, კვების ობიექტები, სათხილამურო ტრასები და შესაბამისი ინფრასტრუქტურა რეკრეაციული ობიექტები და ა.შ.).

საპროექტო ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციასთან დაკავშირებით მოსაზრებების წარდგენა შესაძლებელია 10 სამუშაო დღის ვადაში, შემდეგი ელექტორნული ფოსტის მეშვეობით: sajaro.gankhilvebi@mrdi.gov.ge